2020-2021 | საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

ერთწლიანი გარდამავალი დებულება

ა. მონაწილე გუნდების რაოდენობა: 12

1 არმია თბილისი
2 ყაზბეგი სტეფან'წმინდა
3 ტაო სამცხე-ჯავახეთი
4 დინამო თბილისი
5 ბაგრატი ქუთაისი
6 არწივები ოზურგეთი
7 დევები თბილისი
8 ივერია ვარკეთილი თბილისი
9 ხვამლი თბილისი
10 დინოზავრი წყალტუბო
11 იმერეთი ჭიათურა
12 თელავი თელავი

ბ. გათამაშების სისტემა

შეჯიბრება ტარდება სამ ეტაპად.

1. I ეტაპი: ჯგუფები

12 გუნდი ორ -- "ა" და "ბ" -- ჯგუფად დაიყო
2019-20 სეზონის დაუსრულებელი ჩემპიონატის შეწყვეტის მომენტში
არსებული სატურნირო ვითარების მიხედვით:

ა	ბ
1 არმია (1)	1 ყაზბეგი (2)
2 დინამო (4)	2 ტაო (3)
3 ბაგრატი (5)	3 არწივები (6)
4 ივერია (8)	4 დევები (7)
5 ხვამლი (9)	5 დინოზავრი (10)
6 თელავი (12)	6 იმერეთი (11)

1.1 თამაშები თითოეულ ჯგუფში გაიმართება ორ წრედ: მიმოსვლით -- შინ და გარეთ (10 ტური = ჯგუფში სულ 30 თამაში)

1.2 ჯგუფებში ადგილები განაწილდება დაგროვილი ქულებით.

1.3 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა თანაბარი ქულა, დაწინაურდება ის გუნდი:

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ურთიერთ შეხვედრებში.

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთ შეხვედრებში.

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთ შეხვედრებში.

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ჯგუფის ორ წრეში.

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ჯგუფის ორ წრეში.

ვ) რომელსაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) აღმოაჩნდება ჯგუფის ორ წრეში.

2. II ეტაპი: ექვსეულები

2.1.1 "ა" და "ბ" ჯგუფების 3-3 მოწინავე გუნდი შექმნის პირველობისთვის მებრძოლ პირველ ექვსეულს.

2.1.2 "ა" და "ბ" ჯგუფებში IV-VI ადგილებზე გასული 3-3 გუნდი შექმნის პირველ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლ მეორე ექვსეულს.

2.2.1 ექვსეულში თითოეულ გუნდს მიჰყვება ჯგუფში გამართული 4 მატჩის შედეგი: იმ ორ გუნდთან, ვისთან ერთადაც შევიდა ექვსეულში

2.2.2 ექვსეულში თითოეული გუნდი გამართავს კიდევ 6 მატჩს: შინ და გარეთ ეთამაშება მხოლოდ სხვა ჯგუფიდან გამოსულ სამ გუნდს, ვისაც I ეტაპზე არ შეხვედრია.

2.2.3 ამით ექვსეულებში გასრულდება ორ-ორი წრე (10 ტური = 4 + 6)

2.3 ექვსეულებში ადგილები განაწილდება ამ ორ წრეში დაგროვილი ქულებით.

2.4 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა თანაბარი ქულა, დაწინაურდება ის გუნდი:

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ურთიერთ შეხვედრებში.

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთ შეხვედრებში.

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთ შეხვედრებში.

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ექვსეულის ორ წრეში.

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ექვსეულის ორ წრეში.

ვ) რომელსაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) აღმოაჩნდება ექვსეულის ორ წრეში.

3. დიდ 10-ში აღზევება

3.1 II ეტაპის შედეგად პირველ ექვსეულში I ადგილზე გასული გუნდი პირდაპირ აღზევდება შემდეგი, 2021-2022 სეზონის დიდ 10-ში.

3.2 II ეტაპის შედეგად პირველ ექვსეულში II ადგილზე გასული გუნდი შემდეგი, 2021-2022 სეზონისთვის დიდ 10-ში ასასვლელად ორ-მატჩა დუელშიეთამაშება დიდ 10-ში IX ადგილზე (II ეტაპის შედეგად მეორე ექვსეულში III ადგილზე) გასულ გუნდს.

3.2.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია პირველი ლიგის გუნდი.

3.2.2 დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით. ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება.

3.2.3 ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი:

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ამ ორ მატჩში.

ბ) რომელსაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) აღმოაჩნდება ამ ორ მატჩში.

გ) დიდი 10-ის გუნდი.

4. პირდაპირი დაქვეითება და დასარჩენი დუელი

4.1 II ეტაპის შედეგად მეორე ექვსეულის ბოლო ხუთი გუნდი (II, III, IV, V, VI ადგილოსნები) შემდეგი, 2021-2022 სეზონისთვის პირდაპირ დაქვეითდება პირველი ლიგიდან რეგიონულ ლიგაში.

4.1.1 ამ ხუთი გუნდის ნაცვლად შემდეგი, 2021-2022 სეზონის პირველ ლიგაში აღზევდება 2020-2021 სეზონის რეგიონული ლიგის გამარჯვებული.

4.2 II ეტაპის შედეგად მეორე ექვსეულში I ადგილზე გასული გუნდი შემდეგი, 2021-2022 სეზონისთვის პირველ ლიგაში დასარჩენად ორ-მატჩა დუელშიეთამაშება 2020-2021 სეზონის რეგიონულ ლიგაში II ადგილზე გასულ გუნდს.

4.2.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია რეგიონული ლიგის გუნდი.

4.2.2 დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით. ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება.

4.2.3 ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი:

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ამ ორ მატჩში.

ბ) რომელსაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) აღმოაჩნდება ამ ორ მატჩში.

გ) პირველი ლიგის გუნდი.

გ. სავარაუდო ვადები

2020 წლის სექტემბერი – 2021 წლის მაისი.

:::